ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის
საკრებულო

განკარგულება:**g-37.37213378**
თარიღი:**03/12/2021**

განკარგულება № 49

ქ. ოზურგეთი 3 დეკემბერი 2021 წელი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დროებითი

ხმის დამთვლელი კომისიის არჩევის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის და „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 ნოემბრის N1 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 43-ე მუხლის შესაბამისად, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

მუხლი 1. ახლადარჩეული ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირების არჩევის, პროცედურული საკითხების (ბიულეტენების მომზადების, დარიგების, ხმების დათვლის) და კენჭისყრის პროცესის ჩატარების მიზნით, არჩეულ იქნას დროებითი ხმის დამთვლელი კომისია შემდეგი შემადგენლობით:

1. კომისიის თავმჯდომარე: ნინო ჭანიშვილი;

2. მდივანი: ხათუნა ცერცვაძე;

3. კომისიის წევრი: ვლადიმერ ხავთასი;

მუხლი 2. დროებითი ხმის დამთვლელი კომისია უფლებამოსილია მუდმივმოქმედი ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის არჩევამდე.

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (მის:ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ.№14).

მუხლი 4. ეს განკარგულება ამოქმედდეს 2021 წლის 3 დეკემბრიდან.

ლავრენტი ბიგვავა

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/